განახლებულია 01.05.2026 წ.

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**პროფესიული და უწყვეტი განათლება/Vocational and Continuing Education**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**პირველი ნაწილი:** განათლების მეცნიერების მაგისტრი/ Master of Educational Science **მეორე ნაწილი:** კვლევის მაგისტრი განათლების მეცნიერებაში/ Master of Research in Educational Science
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	პროფესორი მადონა მიქელაძე - madona.mikeladze@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	**პირველი ნაწილი** - 60 ECTS **მეორე ნაწილი** - 60 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**პირველი ნაწილი:** ✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: ინგლისური ენა - B2 დონე და სპეციალობა; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. **მეორე ნაწილი:** ✓ პროგრამის პირველი ნაწილი; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**პირველი/მეორე ნაწილი:** სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს მაგისტრი, რომელსაც: ✓ აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა განათლების სისტემებში, განათლების თეორიებში, განათლების პოლიტიკაში, პროფესიული და უწყვეტი განათლების სპეციფიკასა და პროფესიული განათლების ხარისხის მართვაში. შეუძლია ამ ცოდნის კრიტიკული შეფასება და იყენებს მას პრაქტიკაში ინოვაციური მიდგომების დასანერგად; ✓ შესწევს უნარი ეფექტიანად გაუმკლავდეს ლოკალურ და საერთაშორისო ასპექტში პროფესიული განათლებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის გამოწვევებს, კვლევისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიმუშაოს რეკომენდაციები პრაქტიკის გასაუმჯობესებლად; ✓ აანალიზებს საკუთარი და გუნდის წევრების პროფესიული განვითარების საჭიროებებს, გეგმავს და ახორციელებს უწყვეტი პროფესიული განვითარებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს.

სწავლის შედეგები	**პირველი ნაწილი:** ✓ კრიტიკულად აანალიზებს განათლების თანამედროვე თეორიებს და მათ მნიშვნელობას პროფესიული და უწყვეტი განათლების განვითარებისთვის, აფასებს განათლების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, აცნობიერებს კვლევის თანამედროვე მეთოდების მნიშვნელობას პროფესიული და უწყვეტი განათლების სფეროში არსებული გამოწვევების შესასწავლად; ✓ ახდენს განათლების სფეროს განვითარების ტენდენციებისა და დარგში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებას, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროფესიული და უწყვეტი განათლების მიზნების, ამოცანებისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით; ✓ აანალიზებს პროფესიული განათლების პედაგოგიკის პრინციპებს, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას და მნიშვნელობას პროფესიულ და უწყვეტ განათლებაში, ინკლუზიური და უსაფრთხო სასწავლო გარემოს ორგანიზების საჭიროებებს; ✓ განათლების კონცეფციის, თეორიებისა და პოლიტიკის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, შესაბამისი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით აფასებს პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე პროცესებს, აკეთებს დასკვნებს და ამზადებს რეკომენდაციებს; შეიმუშავებს და იყენებს სტრატეგიებს ინკლუზიური და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შესაქმნელად; ✓ შრომის ბაზრის მოთხოვნების, თანამედროვე საგანმანათლებლო ტენდენციების და ტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით აფასებს პროფესიული და უწყვეტი განათლების პროგრამების ეფექტიანობას, ახდენს მათი ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას; შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამების გაუმჯობესებისთვის და ნერგავს მათ პრაქტიკაში; ხელს უწყობს ცოდნის გაზიარებასა და ინოვაციური იდეების დანერგვას სფეროს წინსვლისთვის; ✓ აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, თანამედროვე მეთოდოლოგიისა და ინოვაციური მიდგომების გამოყენებით, დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს კვლევას პროფესიული და უწყვეტი განათლების სფეროში; მიღებული შედეგების საფუძველზე აყალიბებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ დასკვნებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროფესიული და უწყვეტი განათლების სფეროს განვითარებისა და პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის; ✓ ახდენს კომპლექსური, არაპროგნოზირებადი სასწავლო/სამუშაო გარემოს მართვას და ადაპტირებას ინოვაციური მიდგომების გამოყენებით; ✓ იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე, გეგმავს და ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს. **მეორე ნაწილი:** ✓ კრიტიკულად აანალიზებს განათლების თანამედროვე თეორიებს და მათ მნიშვნელობას პროფესიული და უწყვეტი განათლების განვითარებისთვის, აფასებს განათლების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, აცნობიერებს კვლევის

	თანამედროვე მეთოდების მნიშვნელობას პროფესიული და უწყვეტი განათლების სფეროში არსებული გამოწვევების შესასწავლად; ✓ ახდენს განათლების სფეროს განვითარების ტენდენციებისა და დარგში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებას, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროფესიული და უწყვეტი განათლების მიზნების, ამოცანებისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით; ✓ პროფესიული და უწყვეტი განათლების ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობისთვის განსაზღვრავს პროცესის შეფასებისა და კვლევის საჭიროებებს; ✓ აანალიზებს პროფესიული განათლების პედაგოგიკის პრინციპებს, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას და მნიშვნელობას პროფესიულ და უწყვეტ განათლებაში, ინკლუზიური და უსაფრთხო სასწავლო გარემოს ორგანიზების საჭიროებებს; ✓ აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, თანამედროვე მეთოდოლოგიისა და ინოვაციური მიდგომების გამოყენებით, დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს კვლევას პროფესიული და უწყვეტი განათლების სფეროში; მიღებული შედეგების საფუძველზე აყალიბებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ დასკვნებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროფესიული და უწყვეტი განათლების სფეროს განვითარებისა და პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის; ✓ ახდენს კომპლექსური, არაპროგნოზირებადი სასწავლო/სამუშაო გარემოს მართვას და ადაპტირებას ინოვაციური მიდგომების გამოყენებით; ✓ იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე, გეგმავს და ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს.